

ლიბეია

№ 6.

ო. რკვირეული დამატება.

1918

ი. გრიშაშვილი.

ყვითელი ფერი.

ლექსი ესე მიფეშქაშებია ქ-ნ მარჯანისთვის

მტერი დე აღმასობდეს!
 მტერმა დეიბობოქროს!
 და, ვით სიყვითლე ოქროს
 არ შორდება არასოდეს—
 მეც მახლავს მუღმივათ ერთი ცელოქი სურვილი:
 — მიყვარს სახე ქლექური, ყვითელ ოქროთ ცურვილი,
 მიყვარს ფერი გახუნებულ მთვარისა! და ვით ელდა
 სიკვდილსა, მეც ეს ფერი მადინჯებს,
 რომ სიკვდილის ჟამსაც კი შევხვდები მე ყვითელ და
 ამარტისფერ ნარინჯებს.

ხალხო!

გვერებით...

ამაოდ ნუ მაქებთ... ნუ მტყულებთ...
 მე არ მინდა ჩემი ლექსი სხვაფერით დავთალხო!
 შემოდგომის სასალუქო
 და ამო დღეს,
 რომ ჩემი სახე ჭარბათ გამოძღეს
 ყვითელ ფერებით: —
 მე მსურს, — და ეს არის უკანასკნელი ჩემი სავედრი, —
 როს მერგოს ზეცის წილხვედრი,
 ქლექიანო ქალო! რომ არ ჩამყვეს საფლავში ხინჯი:
 მოდი ჩემს ნეშტთანა და შენის სახის ფერი მოყვითალო,
 შროშნისფერ ფრჩხილებით უნდა ჩამოითალო
 და მკვდარს მახუქო—
 ყვითელი ფერი: ვერი ნარინჯი.

მღნკ

1918

კოლლაუ ნადირაძე.

ბრიოლმბები.

(ბ რ ი ბ მ ბ ე ბ ი)

ა.

უნდა გამოვჭრა შენი ყელი თეთრი, გედური,
ნანატრ მუსიკათ რომ მომესმას დანის გასობა!
ეგებ ვალურზე ამ სიგიჟეს მე, უბედური!
უნდა გამოვჭრა შენი ყელი თეთრი, გედური!
— ო, ერთი სიტყვა სიკვდილის დროს: სასაყვედურო. —
მინდა დავითვრე საოცნებო მის ძვირფასობით.
უნდა გამოვჭრა შენი ყელი თეთრი, გედური,
ნანატრ მუსიკათ რომ მომესმას დანის გასობა!

ბ.

თვით ჰანიბალიც ისურვებდა შენსა ხასობას,
და კართაგენში წაგიყვანდა სასიყვარულოთ;
იქ დაწყებდა შენთვის მთვარე ცივ აღმასობას!
თვით ჰანიბალიც ისურვებდა შენსა ხასობას...
შენ ლედი მაკბეტ შეგნატრებდა ხშირათ მზავსობას,
და უბრძანებდა ქმარს მოეკალ ლამე ფარულათ...
თვით ჰანიბალიც ისურვებდა შენსა ხასობას,
და კართაგენში წაგიყვანდა სასიყვარულოთ.

გ.

— ეხლა მზათა ვარ შენზე დანა ავამთვარულო:
დიდ ხანს მტანჯავდა, მეძახოდა ეგ წვრილი ყელი;
ო, ხსნის იმედი სანატრელი, სასიხარულო!
ეხლა მზათა ვარ შენზე დანა ავამთვარულო;
როგორ ვიცილებ, რომ ვადმოვა სისხლი ღვარულათ,
და მოვარდება ჩემ ყვითელ ტვინს მძიმე უღელი,
ეხლა მზათა ვარ შენზე დანა ავამთვარულო:
დიდხანს მტანჯავდა, მეძახოდა ეგ წვრილი ყელი.

შალვა კარმელი.

დათოვილი უსტარი.

ადამის ასულებს.

1.

იწერები: რომ დავხიო წერილი,
რომ დავხიო მე წაკითხვის თანავე.
წამს ბარათი მივაქ მოვქანავე,
საიდუმლო ლურჯ ხაზებით სერილი
და ვიფიქრე, რომ დავხიო წერილი, —
მაშინ სადღა წავიკითხო გრძნობანი,
ნახ თვისტომის ნახი გრძნობა რჩეული?!.
გადავშალე ჩემი ლექსთა რვეული
და შიგ ჩაედე ლამაზ ბაგის ბჭობანი,
სადაც ჰფეთქდა ძველ წერილთა გრძნობანი!..

2.

ახ, თუ იცი, რა რიგ ვეტრფი ცეცილი,
შენს სახელის ზოლიცილიც ასოებს!..
შენს ბარათებს ჩემთვის უძვირფასოებს!..
ზარიფი ხარ, შუბლს წინამო კვეცილი..
ახ, თუ იცი, რასაც ვგრძნობ ცეცილი!..
შემოგეტრფი ღამის მშვიდ სერენადით,
მომესურვა სულის ჩუმი ქეიფი.
შენ ხარ ჩემი შორეული ნეიფი, —
თუ დავსტებები, ისე ჩემი მენადით...
და ვიმღერი ღამის მშვიდ სერენადით..

3.

აქ მგონებში, ვით დაჭრილი გედები,
უკანასკნელ სიყვარულის ჯავრებით, —
სასაფლაოს ნელა მივემგზავრებით.
ამოვქარვით სატრფოს ვარსკვლავედები
და ვიმღერი, ვით დაჭრილი გედები!..
ოთახს ვსტოვებ მთეარის ამოკრთალებით,
გამოვდივარ მოთეთრებულ ქუჩებში.
მოვონება საღამურობს ტუჩებში.
მე შენს სარკმელს ვეწაფები თვალებით
და ვოცნებობ თავადური წვალებით...

4.

ეხ, ოცნება... სულ ოცნება... ოცნება...
არგინ უწყის, როს ვიხილავ შორეულს;
მოლოდინში დავემსგავსე ორეულს.
ვიცი ბაგე აღარ ჩამეკოცნება!
ეხ ოცნება, სულ ოცნება... ოცნება!..
განვეშორე მეგობრებს და ყონალებს,
მასაზროლებს ჯადოსნური ჰაშიში;

მღერია ძილში ზმანებანი საშიში...
შევეთვისე ავ სიზმრებსა მონაღებს,
ვიღრე ნაცნობ მეგობრებს და ყონაღებს!..

5.

ირგვლივ, გარეთ, სიცივეა მზარავი...
გათოშილან ქლექიანი ზეები...
ავონღებათ მწვანე სამოთხეები...
დაიდგმება მალე თეთრი კარავი,—
ო, რა რიგი სიცივეა მზარავი!..
თოვლის ბალიშს დავემხოზი ჩვენება,
ჰმ ჩვენება! ერთხელ ვაფი კაჟური,
ამოშრება გულში გრძნობის ნაჟური
და მოგვედები ესდენ ქარვის მშვენება,
რომ ვაცოცხლო მე ლეილას ხსენება!..

6.

ჰო მოგვედები! წავალ გარდაცვალებით,
სადაც სულნი წინაპართა მელიან.
სამარეთი წამებულთა მხსნელია.
შენ იქნება მომიგონო წვალებით
და მიტირო (უცხო) გენაცვალებით.
ვერ აღმადგენ ცრემლად წამწამო წვეტებში
ვერ გამკურნავს ეგ ამარტის ლექები,
მოგიკვდები ტრფობით დანაქლექები,
გზას დავიდებ მთვარის შვეულ სვეტებში
და გიტირებ ზამთრის ტრიოლეტებში!..
1917 წლის დამლევა დღე.

ედგარ ჰოე.

ყ მ რ ა ნ ი.

ერთხელ ღამით კენესდა ქარი..
ვიყვ მარტო და მწუხარე
და ტომები საუკუნით
დაწყველილი, ძველთა ძველი—
მე წინ მგწყო, და დაღლილი
ვიკითხულობდი თავიანთილი.
და მიპყრობდა თვლემა ფრთხილი,
როს კაკუნი მესმა ნელი.
—,სტუმარია,“— ვსთქვი ჩურჩულით,
როს კაკუნი მესმა ნელი
და შევიქენ მით ფხიზელი.
შახსოვს, იყო დეკემბერი,
იყო ქარი და ნამქერი...

იატაკს კი სისხლის ფერათ
ღებდა ბუზრის ძვერა ცხელი;
რარკვ მსურდა დილა ვნებით,
რა ოცნებით, რავგარ ვნებით,
მსურდა წიგნში დამემარხა
ქმუნვარება გულის მკვლელი.
იმ დაკარგულ ლერონისა
ვინცა, ბგერა ცარიელი.
კრთოდა ფარდა აბრეშუმი
და შრიალიც იყო ჩუმი.
კუთხებიდან შესაპყრობლად
მოიწვედენ უცნობთ ხელნი:
იზრდებოდა შიში ღამით

ყოველ წუთით, ყოველ წამით
მეგვებოდა გული შხამით.
ჩუ! კაკუნი მესმის ნელი.
— „სტუმარია,“ — ესტქვი მე წყნარად,
როს კაკუნი მესმა ნელი
— „სტუმარია გამოძლეული...“

და როს თავი გავიზნევე
ესტქვი ხმა მალდა — მომიტევე,
ვინაც კარებს უკაკუნებ
პატეებს შენგან ველი.
ალარ მქონდა მეტი ღონე —
ძილს დაღლილი დავემონე,
უცხად ველარ გავიგონე
მე კაკუნი კარის ნელი.“
და ამნაირ ბოღიშითა
მე გავადე კარი ნელა
ირგვლივ ბნელა.. მხოლოდ ბნელა.
თითქოს თვალ წინ აღმემართა
ღრმა უფსკრული. ვიდექ მარტო
გამოუთქმელ ოცნებებით
წყვდიადობდა ირგვლივ ველი,
შავად სჩანდა ნისთლა გორა,
მაგრამ ვით ხმა გუნდის შორა
ახმაურდა მყის — „ღონე რა“ —,
ხანგრძლივ ტანჯვის ეკო ნელი.
ჩურჩულით ესტქვი მე — „ღუნორა“ —
ხანგრძლივ ტანჯვის ეკო ნელი.
და შთაინთქა ის სიბნელით.
შემოვბრუნდი შმაგი, მთვრალი,
ამ ძახილით სულ შემკრთალი
შემოველ და კვლავ კაკუნი
შემომესმა წინანდელი.
კვლავ აიძრა შიშის ჯარი,
მაგრამ ესტქვი მე — ეს „ფრთა — ჩქარი
ღარაბებში იბრძვის ქარი.
ჩემს შიშს არ აქვს საფუძველი —
ფეთქავს ქარი ღარაბებში.
ჩემს შიშს არ აქვს საფუძველი:
— ქარმა შექმნა ხმა ეგ ძველი“.
და როს გული დავიწყნარე,
სარკმლის გახსნა დავეჩქარე
და ყორანი განვლილ ღროთა
შავთა ფრთათა მწყობრად მშლელი.
შემოფრინდა. დავინახე.

მედიდური მისი სახე;
ფრენით მოველოა მან ოთახის
ყველა კუთხე და კედელი,
აღლამაზე პალაოდისა
დასჯდა, მოველო როს კედელი.
— ვით ნაცნობი ჩემი ძველი.
ვით ჩვენება მკაცრი, ავი
თეთრსა ზურჩე იჯდა შავი.
გავიციენ და უთხარი
ღიშმა გასქრა ბაგე ოდეს:
— „თქვენ ბრძანებლობთ სამარეში
სტქვი, რა გქვიან მკვდართ მხარეში,
სტქვი, რა გქვიან იმ არეში,
სადაც სტიქსი უნდა რბოდეს?!
რას ვიხმობენ იქ, სად შარად
სტიქსი წყნარად უნდა რბოდეს?“
— მან დამჩხავლა „არასოდეს!“
თუმც არ ჰქონდა პასუხს აზრი,
მაგრამ გული გამიბას რა
მე ჩხავიღმა ყორანისა
რაც, ფათერაცს მოუწოდებს.
მოქვითინე ქარმა ველოდ
მოუღვინა ეს პირველად
იმ სახლს, სადაც კაცი ძნელად
ნახავს იმედს მარცვლის ოდენს;
იმ უბედურს, ვინაც იმედს
არ ატარებს მარცვლის ოდენს
ეგ ფრინველი „არასოდეს“.
თეთრ ზუჩიდან პალადისა
არეს სქვრეტდა მწყურაოდ ისა,
ვით მსაჯული, რომლის გულიც
მკაცრიცა და არ იტოდებს.
და იძახდა ისე ხშირად,
ისე ცივა — გულ გამგმირად,
თითქოს ბედმა გამოსწირა,
რომ აწ სხვა რამ არ მესმოდეს,
მაგრამ ვთქვი: „ხვალ მომშორდება,
რომ ჩხავილი არ მესმოდეს —
მან დამჩხავლა:
— „არასოდეს“.
და შემაკრთო კვლავ პასუხმა,
და ვიფიქრე, დანაწუხმა —
„ის სცხოვრობდა იმ ბედშავთან,
ვინაც მწყვეტ იქვთა ჰკოდეს;

მასთან, ვისაც ჩხვრა, სევდა
 მარად ახლდა, მარად სდევდა
 ვისი სულიც ვერ იშვებდა—
 არ სმენია „გიხაროდეს“.
 ვისაც ყოველ სურვილის დროს
 ბედი, ნაცვლად — „გიხაროდეს“
 უმღეროდა — „არასოდეს“.
 ჩავესვენე სავარძელში
 და ნადვლიან ფიქრთა ქსელში
 ვხევეოდი. შავსა ყორანს
 მღვრიბა თვალით ვსტკერედი ოდეს,
 და ვფიქრობდი: — „რას მიქადის
 მე ფრინველი ეგ წყევლიადის?
 სთქვას, რა უნდა, სთავას, რა სწადის,
 როს სურს თავზე დამხაოდეს.
 რას მიშადებს განაჩენით
 როს სურს თავზე დამხაოდეს
 მკაცრი სიტყვით-„არასოდეს?“
 და ყორანის ბასრი თვალი,
 ისე მხვლელტდა, ვით ეკალი
 და ფიქრები უნუგეშო
 ქსოვდა ქსელსა. ქსოვდაბადეს.
 აბრეშუმზე თავი ვხარე
 და ვფიქრობდი, გულს მწუხარე
 — „ზაფხულივით მომკინარე
 აქ, თავს ხრიდა უმანკოდ ის,
 მაგრამ აწ კი, მაგრამ აწ კი
 ბავშურად და უმანკოდ ის
 თავს არ დაჰხრის „არასოდეს“.
 გაფერმკრთალდა თვალში ალი
 და მომესმა მე შრიალი
 თითქოს კრება ანგელოზთა
 ცოდვილ მიწას მოვლენოდეს,
 და სურნელთა კმევა მათი
 მე შატკობოდა, ვით შარბათი...
 — „ო, — შეესძახე — სვას ხარბათ ის
 გულმა, რომ სულ არ იწოდეს;
 დე ნექტარი მოვლენილი
 სვას გულმა, რომ არ იწოდეს!“
 და დამძახა მე ყორანმა:
 „არასოდეს“

== „ახ — შეესძახე, ვინ მოგზავნა,
 ეგ ყორანი, თუ ეგ მავნე
 ქარშიშხალმა, თუ მაკდურთა
 ჩემს სატანჯად უმწოოდეს.

თუ დახშულან ჩემთვის ცანი?
 მაშ, მითხარი, ჯადოსანო
 მითხარ ბარემ, სთქვი-მისანო —
 მე სიმშვიდეს ვპოვებ, როდეს.
 ჩემს ღრმა სევდას, ჩემს კავშანს
 დავივიწყებ, მითხარ, როდეს?“
 მან დამჩხავლა: „არას ოდეს“
 „ო, — შეეძახე, — ვინ მოგზავნე
 ეგ ყორანი, თუ ეგ მავნე
 ცას გაფიცებ, ცას გაფიცებ
 და საფლავის შავსა ლოდებს.
 თუ არა მაქვს აქ ნუგეში
 სხვა ანგელოზ-დობილებში
 მას, ხომ ვიცნობ სამოთხეში
 მიბასუხე, სთქვი — მხოლოდ ეს:
 სომ ვიხილაე ჩემს ლენორას,
 სთქვი-რომ მწაძლეს აწ მხოლოდ ეს
 და დამჩხავლა, მე ყორანმა: —
 „არასოდეს“

და შეეძახე შემფოთებით: —
 „ახ, მაკდურო, შავი ფრთებით
 გადაფრინდი მკვდართ სრეში,
 სადაც სტიქსი უნდა რბოდეს,
 რომ ჩხავილი ეგ სახარი
 მკვლელი, გულის გამაბზარი
 ბნელი, როგორც გლოვის ზარი
 — დამემ შთანთქას, არ მესმოდეს.
 შორს, ჯალათო, გესმის, გესმის,
 რომ შენი ხმა არ მესმოდეს
 მან დამძახა — „არასოდეს“

და მის შემდეგ მიდის ხანი
 და თეთრ ზუჩზე ზის ყორანი,
 თავს დამჩხავის უნუგეშოს
 ზის ყორანი, მოთქეპს, ჰგოდებს.
 შევცქერ მის ჩრდილს, ფრთათა რხევას,
 ვიმეორებ კენესით მე „ვის“
 და ვერ შესცვლის ლოცვად წყევას,
 თუნდ დრო-ჟამი ხანგრძლივ ჰქროდეს.
 და თვით სულიც შეე ჩრდილიდან,
 დაე ჟამი ჰქროდეს, ჰქროდეს
 — არ აღსდგება არასოდეს.

მთარგ. გ. მეგრელიშვილი.

კნუტ ჰამსენი.

სიუჰარულის კლინიკა.

უცხო ადგილით მიგვაქროლებდა ჩვენ მატარებელი.

არც მე ვიცნობდი ამ მიდამოებს, არც ის ქალი, ჩემთან ერთად რომ ვაგონში იჯდა განმარტობით. ერთმანეთისათვისაც უცხონი ვიყავით ჩვენ.

— პირველად ვხედავდი ერთიმეორებს.

— როგორ უძრავათა ზის მოწყენილათ? ვიფიქრე მე.

მე მისკენ მივიხედე— გული ჩემი საშინლად სცემდა.

— ფრეკენ, — თქვენ რაღაცას დარდობთ. იქნებ თქვენ გულის სწორი დასტოვით იქ, შორს, საიდანაც მიღმგზავრებით, ძვირფასი მეგობარი?

— ო, დიახ, — მიპასუხა მან: — ძლიერ ახლობელი და ძვირფასი მეგობარი.

— და თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ არასოდეს არ დაივიწყებთ მას, არა? ვკითხე მე. და ნაღვლიანად მიპასუხა მან:

— არა, მე ის არასოდეს არ დამავიწყდება, არასოდეს.

ის გაჩუმდა. ლაპარაკის დროს მას ერთხელაც არ გადმოუხედა ჩემსკენ.

— ნება მომეცით თქვენს თმის ნაწნავებს შევეხე — ეს ვთქვი მე — რა მშვენიერი, რასაუკუხოვო თმაა!!

— ჩემი მეგობარი ჰკოცნიდა მას მკაპსუხა მან — და ხელი ჰკრა ჩემს ხელს.

— მაპატიეთ — ვსთქვი მე. გული ჩემი კი ჩქარ-ჩქარა სცემდა.

— მაშ, იქნებ ნებას მომცემთ ახლო უკუვირო სტვენს ოქროს ბეჭედს — ის სულ ოქროა და ისე ლამაზად ბრწყინავს: მე მიწოდდა ახლო დავკვირებოდი მის. ის...

მგრამ ამაზედაც უარი მიპასუხა მან.

— ეს ჩემი მეგობარის ნაჩუქია.

და ჩემგან გაიწია. მოშორებით დაჯდა.

— მაპატიეთ კვლავ განვიმეორე მე.

დრო გადის, მატარებელი მიქრის. გზა კი არ იღევა. მოწყენილობა. მხოლოდ მატარებლის შეუწყვეტლივ ქმენას ვისმენთ

ჩვენს ახლო ორთქმევაღმა გაიქროლა მეორე ლიანდაგზე. მე შევეკრთი. ქალი კი უძრავად ზის ალბათ საცხებით გაიტაცა მეგობარზე ფიქრმა. მატარებელი კი მიქრის წინ.

მან ჩემსკენ, გამოიხედა. პირველად გამოიხედა ჩემსკენ პირველად შემომხედა მე — ცისფერთვალაზე...

— როგორ, უკვე შესალაპურდა? მეკითხება ის.

— ჩვენ ტუნელს უახლოვდებით — უბა სუხებ მე.

მატარებელი ტუნელში შეიქრა.

კოტა ხნის შემდეგ ის კვლავ ჩემსკენ იხედება ჩქარა, მოუთმენლად მეკითხება —

— მგონი ისე შებინდა.

— ეს მეორე ტუნელია — აქ სულ სამი ტუნელია გასავლელი — უბასუხე. მე თან რუქა მაქვს ამ გზის, არ ინებებ?

— მე მეშინია — სთქვა მან და ჩემსკენ მოიწია.

მე არაფერი არ ვსთქვი. მან ღიმილით მკითხა.

— თქვენ ამბობთ სამი ტუნელია მაშ ერთი კლდე დაგვრჩენია. ამას გარდა?

— დიახ კლდე ერთი.

— მატარებელი ქმენით შევიდა ტუნელში მე ვგრძნობ ქალი სულ ახლოა ჩემთან. ვგრძნობ მისი ხელის შეხებას. თანდათან ნათლდება. ტუნელი გავიარეთ.

ის ცხლა ისე ახლოა ჩემთან, რომ ვგრძნობ მისი ტანის სითბოს.

— თქვენ შეგიძლიათ ჩემს ნაწნავებს შეეხოთ ამბობს ის და ჩემი ბეჭედიც ნახოთ-დააკვირდით.

მე ხელი დაუხვი მის თმას, ბეჭედი კი არ ვნახე, არ შევეხე მას — ის ხომ მას მეგობარმა აჩუქა. მან გაიღიმა და შემდეგ არ მოუწოდებია ჩემთვის ბეჭედი.

— თქვენ ისეთი მწველი თვლები გაქვთ... კბილები კი... ისეთი თეთრი — სთქვა მან და სრულიად დაიბნა. მე მეშინია მესამე ტუნელის მომკიდეთ ხელი როცა, მას მიუახლოვდებით არა არა — ხელი არ მომკიდოთ, მე ამის თქმა კი არ მსურდა — მე ვიხუმრე მელაპარაკეთ კი მხოლოდ. მე აღუთქვი თხოვნის შესრულება.

რამდენიმე წუთის შემდეგ მან ღიმილით სთქვა

— იმ ტუნელების არ მეშინია და და ამ მესამესი კი რაღაც ძლიერ მეშინია ძლიერ...

მომაჩერდა, თითქმის ელოდა ჩემს პასუხს და მეც ვსთქვი: ეს მესამე ყველაზე უფრო დიდი და საშინელია, ყველაზე დიდი.

1918
გუგუ

— ტყვილია, არავითარი ტუნელი არ არსებობს — წამოიძახა მან. თქვენ მე მატყვილებით, არავითარი ტუნელი არ არის.

— არა, ერთი კიდევ არის — იღარწმუნდით.

და მე მის წინ ამ ადგილების რუკა გავშალე. მან არც კი შეხედა რუკას, არც მოჰმინა..

— არა, არ მჯერა, გეოლაპარაკებით, არავითარი ტუნელი არ არის მეტეი.

— თუ კი იქნა —

— მელაპარაკეთ.

— სთქვა მან ცოტა ხნის შემდეგ.

ის ზურგით დივანზე მიწვა თავისუფლათ, მის თვალდახუჭულ სახეზე დიდილი თრთოდა.

მატარებელიც სტევენს — ფანჯარაში ვიცქირები — უახლოვდებით ტუნელის შავ უფესკრულს, მე მაგონდება, შეეპირდი ქალს, რომ ველაპარაკო, ვიხრები მისკენ და უცერათ ვგვძნობ.

— ლამეში მისი ხელები ჩემს ყელს შემოვსალტენ.

— სთქვით რამე სთქვით, მე ისე მტონია რათ არაფერს ამზობთ? აღფლავებით შევსება ის.

ის ისე ახლოა ჩემთან... მე გარკვევით მესმის მისი გულის ძგერა —

იმ წუთშივე მივეყრდნენ მის ყურს ტუჩებით და ნელა უთხარ

— აი, თქვენც დაგავწყდათ თქვენ, მე გობარი!..

ის უცბათ გაჩუმდა, შეკრთა, თითქოს გააყრეოლა; წამსვე გადაფანტა ყელზე შემოქერილი ხელები, მძლავრათ მკრა ხელი და მთელი ტანი დივანზე დაემხო...

ბნელაში მესმოდა მისი კეითინი...

6. მიწიშვილი.

ბაბილონის ხაღიჩა.

...არაბული რაში მიმაფრენდა მე აფერადებულ გზით. გზა იყო ზღაპრულსაოცარი:

— ბაბილონის ხალიჩა გაეფინათ უდაბნოში ცის კიდემდე. იყო უდაბნო, სწორი, გარდუვალი, გაღამწვარ-ქვიშიანი უდაბნო და წიველზოლათ მოსჩანდა ზედ გაფენილი ფართო ხალიჩა.

მე წინ ვიხედებოდი. ხალიჩა ფართო იყო, ხალიჩას ბოლო არ უჩანდა — ბრწყინვალე ზოლათ თავდებოდა ის ჰორიზონტზე.

ოცნების რაშზე მივჭროდი მე აფერადებულ გზით.

ჩემს წინ კი —

— მივქანებოდა საოცნებო კუ.

მისი ზურგი ძვირფას თვლებით იყო დაფარული, მზის სინათლეში ის —

მეორე მზეთ ანათებდა.

და სხივთა მზურვალე შუბებით თვალს სჭრიდა ჩემს მერანს.

მაგრამ — გასწრობის ყინით შეპყრობილი, მივაქანებდი მას.

— რაში მისდევდა კუს: —

ამ უცნაურ აფერადებულ ბურთის სხივებს.

არ უჩნდა ბოლო ამ სიზმარ-ცხადს... ამ გზა-უღვევლ სხვადასხვაობას.

კუ შორს იყო.

მე დაგვივებით მივაქროლებდი რაშს. მინდოდა დავწეოდი მეზილა საოცნებო სანახაობა. ილღება მერანი. ვხედავ — ილღება — მაგრამ მინც მიფრინავს — ხალიჩის გზით.

უცბათ კოცონათ აერთო კუს ზურგზე გადამსხვრეული მზის სხივები და ამ ცეცხლით დაბრმავებული, დაღლილი —

— დაეცა მერანი.

მიჭროლავეს კუ, მივქანება.

მე ფეხით გავსდიე მას. მსურდა დავწეოდი ამ საოცარ ცხოველს, ბაბილონის ხალიჩაზე რომ მზის ჩასვლისკენ მიბზობდა, ვიჩქაროდი.

იჩქაროდა დროც

მივბზობდი... თითქმის დავეწიე. მიუახლოვდი —

მაგრამ... ვიღლებოდი, ვსუსტდებოდი თანდათან.

ის კი — ისევ ფერად-სხივოსანი, — შორს მიდიოდა.

— ვეღარ შევემელ და,

— როცა ლამემ უდაბნოს კარზე შავი ნაბაღი ჩამოაკიდა —

მე დავეცე...

კუ ისევ ბრწყინავდა,

ისევ ახლო-შორეულობდა.

ისევ მიექანებოდა მზისაკენ.

... გრძნობა წასული ვიწექ ღამით. საბედისწერო ხალიჩის გზაზე.

უდაბნო კი ცივი.

ფრთიან ქვიშით მფარავდა მე.

ის კი ბრწყინავდა. კუ ისევ ახლო მიუწლომელი იყო...

ყრუ უდაბნოში დაცემული უკეკრდი მის თვალს არ ვაშორებდი —

სანამ თვალემიც არ ამავსო ცხელმა ქვეშამ...

f 576

1918

